ოქმი:**ო08.37213631**

თარიღი:**29/12/2021**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2021 წელი, 23 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

15.00-16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ.ნიჟარაძე, ნ.ურუშაძე, ნ.მახარაძე, თ.ტუღუში, გ.ჩავლეშვილი, ალ.ღლონტი, ლ.კილაძე, გ.კილაძე, პ.კიღურაძე, ალ.ბურჭულაძე, პ.სალუქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დ.ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პ.ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ დ.ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებზე, ხოლო უფრო ვრცლად მასზე ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ. ყურადღება კონკრეტულად გაამახვილა კომისიის ფუნქციის შესაბამისი დარგების დაფინანსებაზე, შემდეგ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. თანამომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის სხდომის მუშაობა შეაჯამა სხდომის თავმჯდომარემ დ.ჭაკნელიძემ და წამოაყენა წინადადება სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მხარი დაეჭირათ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტისათვის, რომელსაც კომისიის წევრებმა კენჭისყრით ერთხმად დაუჭირეს მხარი.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების კორექტირებული პროექტი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

დავით ჭაკნელიძე

გამოყენებულია კვალიფიციური